



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ოქმი N12

ქ. მარნეული

21.06.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: - ნაბი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, რაგიმ ასკეროვი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ მუსაევი.

სხდომას არ ესწრებოდა: ამირან გიორგაძე, გიორგი შუკაკიძე,

სხდომას ესწრებოდა: - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის N03/3955 წერილის განხილვის შესახებ.
3. საფეხბურთო გუნდი „განჯელიკი“-ს წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის წერეთლის ტერიტორიული ერთეულის სოფელ წერეთლის მოსახლეობის ერთობლივი განცხადების (777/05. 01.06.2016წ) განხილვის შესახებ.
5. სოფელ შულავერში მცხოვრები მარინე აგულაშვილის განცხადების (744/05. 20.05.2016წ) განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მაისის N03/3183 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 მაისის N03/3185 წერილის განხილვის შესახებ.
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1700-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

9. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1702-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

10. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1701-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1699-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

12. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1685-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

13. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1770-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

14. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1769-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

ბიუროს სხდომაზე საკითხების განხილვამდე, ბიუროს წევრმა რიჩარდ გიგანმა ითხოვა გაკეთდეს განმარტება, არაერთგზის მოთხოვნის მიუხედავად, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან, რატომ არ ხდება საკრებულოს სხდომაზე განსახილველად სათამაშო ბიზნესში მოსაკრებლის ახალი, გაზრდილი ტარიფის, ასევე გარე რეკლამის მარეგულირებელი შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტის შემოტანა. ხომ არ ხდება საკითხის განგებ გაჭიანურება და ხომ არ იკვეთება დაინტერესება ხელოვნურად შეფერხდეს პროცესი, ეს მაშინ, როდესაც სათამაშო ბიზნესის ახალი წერტილები იხსნება ყოველდღიურად მოსახლეობის და ძირითადად ახალგაზრდების განადგურების ხარჯზე და ცოტა გაუგებარი ხომ არაა აღმასრულებელი ორგანოს მხრიდან საკითხის იგნორირების მცდელობა, როდესაც საქმე ეხება ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებითი თანხების მობილიზებას. მაშინ როდესაც ორი წელია გვემის, რომ სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გაზრდა გამოიწვევს ამ ბიზნესის გასვლას მუნიციპალიტეტიდან, ყოველთვიურად სულ უფრო და უფრო მეტი ობიექტი იხსნება და მოითხოვა საკითხის შემოტანა მოხდეს საკრებულოს სხდომაზე. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საოქმო ამონაწერი გადაიგზავნოს გამგეობაში და თუ უახლოეს სხდომაზე არ მოხდება მათი მხრიდან შესაბამისი დადგენილების პროექტის წარმოდგენა, საკრებულოს კომისია შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს კომისიის მიერ შემუშავებულ დადგენილების პროექტს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ, რის შემდეგაც დაიწყო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა.

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა ბიუროს წევრებს გააცნო „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 20 ივნისის N03/3955 წერილი რომლითაც ითხოვენ თანხმობას სოფლებში სასმელი წყლის მრიცხველების შექმნა-მონტაჟისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებული 41545,48 ლარი დაემატოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულ ხარჯებს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო საფეხბურთო გუნდი „განჯალიკი“-ს წერილი, რომლითაც ითხოვენ ფინანსური დახმარების გაწევას გუნდის ფორმების შესაძენად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის წერეთლის ტერიტორიული ერთეულის სოფელ წერეთლის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება (777/05. 01.06.2016წ) სპორტული მოედნისათვის ბალახის საკრეჭი მანქანის შეძენის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო სოფელ შულავერში მცხოვრები მოქალაქე მარინე აგულაშვილის განცხადება, რომელიც არის მრავალშვილიანი დედა, ითხოვს სასმელი წყლის დავალიანების - 132 ლარის დაფარვას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 16 მაისის N03/3183 წერილით შემოსული სოციალური სამსახურის მოხსენებითი ბარათი შაბან მამედოვისათვის თურქეთში ოპერაციის შემდგომი სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ საკითხი განსაკუთრებულია, ვინაიდან საქმე ეხება უსინათლო მოზარდისათვის მხედველობის დაბრუნების შესაძლებლობას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 17 მაისის N03/3185 წერილი მოქალაქე ისმატ გურბანოვის სწავლის დაფინანსების შესახებ. იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედის მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციაში, მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1700-03 მოხსენებითი ბარათი ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N48 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 202 კვ.მ. და რუსთაველის ქუჩა N39 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 48 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით შ.პ.ს. „მარნეული ტრანსი 2009“-სათვის გადაცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1702-03 მოხსენებითი ბარათი ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N25 და N27 საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ არსებული 25კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, მოქალაქე არტურ გოგიანისათვის გადაცემის შესახებ, რომელსაც იგი ამჟამად ფლობს იჯარით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1701-03 მოხსენებითი ბარათი ქალაქ მარნეულში, აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული 42კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით მოქალაქე ლელა დეკანოიძისათვის გადაცემის შესახებ, რომელსაც იგი ამჟამად ფლობს იჯარით, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1699-03 მოხსენებითი ბარათი ქალაქ მარნეულში, სამედ ვურდუნის ქუჩაზე არსებული 30კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, მოქალაქე ინტიგამ ისმაილოვისათვის გადაცემის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 8 ივნისის N1685-03 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც ითხოვენ ს/ს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია მონაცემებით: საკადასტრო კოდი N83.02.01.541, რეგისტრაციაში გატარდეს შ.პ.ს. „თბილისი ჯგუფი“-ს მიერ მომზადებული 2016 წლის 23 მაისის საკადასტრო აზომვითი ნახაზით განსაზღვრული კოორდინატების შესაბამისად, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

13. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცამეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1770-03 მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვით ასიფ მეხტიევის მინდობილი პირი ითხოვს მიწის ნაკვეთის კორექტირებას ფართობის უცვლელად ისე, რომ მის მიერ ნაწარმოები უნებართვო შენობა-ნაგებობა მთლიანად მოხვდეს მის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთის საზღვრებში, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

14. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის

კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 15 ივნისის N1769-03 მოხსენებითი ბარათი იმის შესახებ, რომ შ.პ.ს. „ქართლი თამბაქო“ ითხოვს ალგეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ თაზაკენდში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ყოფილი საბავშვო ბაღის შენობის (განაშენიანების ფართი 520კვ.მ და მასზედ დამაგრებული 895 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან ერთად), რომელიც ამჟამად თავისუფალია, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხები დაემატოს დღის წესრიგს და განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ითხოვა საკრებულოზე გასატანი საკითხების ნუსხას დაემატოს მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის წერილით შემოსული გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2016 წლის 17 ივნისის N1806-03 მოხსენებითი ბარათი მარნეულის მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის სპორტსმენის ოთარ ნავერიანისა და მისი მწვრთნელის ზურა მუშკუდიანის წასახალისებლად თანხის გადარიცხვის შესახებ, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ითხოვა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგს დაემატოს ორი საკითხი : 1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 ივნისის N03/3994 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 21 ივნისის N1831-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოქალაქე პავლე სივსივაძესათვის ქალაქ მარნეულში, 26 მაისის ქუჩაზე (ყოფილი სოფ. ტექნიკის მიმდებარედ) არსებული 5000 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.13.284) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარისთ გადაცემის შესახებ. 2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 21 ივნისის N03/3993 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 20 ივნისის N1821-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოქალაქე ბექა კოპალიანისათვის ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N116 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ არსებული 49 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N83.02.19.177) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის შესახებ და ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის და სპორტის სამსახურმა ითხოვა განხილული იქნეს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესში, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული შესატანი ცვლილებები, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეთორმეტე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევია